სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

10 / თებერვალი / 2025 წ.

KA080137132009325

№ **480**

განკარგულება

შპს „პალადას“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 4 თებერვლის წარმოდგენილ იქნა შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) 2025 წლის 3 თებერვლის №03-02/02 მომართვა (რეგისტრაციის №1095), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2025 წლის 5 და 10 თებერვალს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2025 წლის 5 და 10 თებერვლის № 5-02/02 და № 10-02/01 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის №1141 და №1320), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 5 თებერვლის №328 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2025 წლის 12 მარტს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „პალადას“ (ს/ნ: 205180472) 2025 წლის 13 მარტიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე